ბურთიად
GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2019 / 18 – 25 Ekim/ოქტომბერი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 345.5	4.7 %	12.7 %	6.4 %

3. İpek Yol Forumu Tiflis'te
აბრეშუმის გზის მე-3 ფორუმი საქართველოში

22-23 Ekim 2019 tarihler arasında Tiflis'te 3. İpek Yol Forumu gerçekleştirildi. Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı tarafından yayınlanan bilgilere göre foruma 60 ülkeden gelen 2000'den daha fazla kişi katılmıştır ve iki gün boyunca 300 den daha fazla müzakere ve iş toplantısı düzenlendi. Üst rütbeli misafirler arasında foruma Özbekistan ve Ermenistan başbakanlar katılmıştır. Foruma uluslararası uzmanlar ve Avrupa Yatırım Bankası, Avrupa İmar ve Kalkınma Bankası, Asya Kalkınma Bankası, Birleşik Milletler, Dünya Bankası ve Dünya Ticaret Örgütü gibi uluslararası kuruluşların temsilcileri de katıldı.

Bu yılın İpek Yolu Forumun panel konuşmaları iş bu konuları kapsamıştır: sabit ve sürdürülebilir artış modelleri, ticaret, enerji sektörü ve bu sektördeki gelişme eğilimleri, enerji kayışı güvenliği ve sürdürülebilirliği. Forum, Gürcistan Başbakanı Sn. Giorgi Gakharia'nin konuşması ile açıldı. Başbakan, kendi konuşmasında Gürcistan'ın serbest ticaret anlaşmaları ve ülkeye enerji ve lojistik koridor rolünü taşıyan enerji projelerini (Güney Gaz Koridoru, Trans-Adriyatik Boru Hattı, Trans-Anadolu Boru Hattı) dile getirip bu tip projelerin genişlemesini memnuniyetle karşıladığını vurgulamıştır.

22-23 ოქტომბერს თბილისში აბრეშუმის გზის მე-3 ფორუმი ჩატარდა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, ფორუმში 60-მდე სხვადასხვა ქვეყნის 2000-ზე მეტმა დელეგატი მონაწილეობდა და ორი დღის განმავლობაში გაიმართა 300-ზე მეტი ბიზნეს შეხვედრა და მოლაპარაკება. უმაღლესი რანგის სტუმრებს შორის ფორუმზე წარმოდგენილნი იყვნენ უზბეკეთისა და სომხეთის პრემიერ-მინისტრები. ფორუმს ასევე ესწრებოდნენ საერთაშორისო რანგის ექსპერტები და ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, როგორებიც არიან: ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, გაერო, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა.

წლევანდელი აბრეშუმის გზის ფორუმის პანელური თემატიკა მოიცავდა: სტაბილური და მდგრადი ზრდის მოდელებს, ვაჭრობას, ენერგეტიკის სფეროს და ამ სექტორში არსებულ განვითარების ტენდენციებს, ენერგეტიკული სარტყლის უსაფრთხოებას და მდგრადობას. ფორუმი, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ გახსნა. გამოსვლაში პრემიერმა ყურადღება გაამახვილა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებზე და ენერგეტიკულ პროექტებზე (სამხრეთ გაზის დერეფანი, ტრანს-ადრიატიკული მილსადენი, ტრანს-ანატოლიური მილსადენი), რომლებიც საქართველოს ენერგეტიკული და სატრანზიტო დერეფნის როლს ანიჭებენ. პრემიერმა თქვა, რომ საქართველო მიესალმება მსგავსი პროექტების გაფართოებას.

Batum Kentinde "Beko" Şirketinin Gürcistan'daki En Büyük Mağazası Açıldı.

ქალაქ ბათუმში "კომპანია "ბეკოს" საქართველოში ყველაზე დიდი მაღაზია გაიხსნა

Dünyanın önde gelen ev tip teknik markalarından biri olan "Beko", Gürcistan genelinde 67 alışveriş merkezi ile 22 yıl boyunca faaliyet göstermektedir. Beko, 21 yıl önce de olduğu gibi, bulunduğumuz yıl da yenilikler sunmaya devam etmekte ve kendi ticaret ağını sürekli genişletmektedir.

19 Ekim'de Batum kentinde Melikishvili Caddesi N69/71 adresinde, Gürcistan'ın yeni ve en büyük Beko şubesi açıldı. Mağaza, yenilikçi bir konsepte göre düzenlenmiştir. Batum'da yeni Beko Şubesi'nin açılmasıyla ilişkin, Beko, söz konusu branştaki müşterilerine hem ev tip teknik malzemesi, hem de TV ve BT ekipmanları üzerine %30'a varan indirim ve özel teklifler sunmuştu. Ayrıca, mağazaya gelen müşterilere, başka yeniliklerle ve sürprizlerle de karşılaştılar.

Resmi açılış töreni „Beko“ şirketi Genel Müdürü Mehmet Melek tarafından gerçekleştirildi. Açılışa kamu yetkilileri ve aynı zamanda iş sektörü temsilcileri de katılmıştı. Konuklar arasında Gürcistan'daki Türkiye Başkonsolosu Makbule Koçhak, kendi konuşmasında "Beko" mağazalarının Gürcistan'ın her yerinde olduğunu ve bu markanın sadece Türk değil Gürcü olduğunu da belirtti. Batum kentinde Melikishvili Caddesi N69/71 adresinde bulunan"Beko"nun 1100 m2 alanı olan şubesinde her tip teknik malzemesi bulunmaktadır. Söz konusu şubenin açılmasıyla ilgili olarak 22 Gürcistan vatandaşı işe alınmıştır. Beko'nun Gürcistan'daki yedinci servis merkezi de bu adreste bulunmaktadır. Şirket, açılışa bağlantılı olarak müşterilerine 4 artı 3, toplam olarak 7 yıllık garanti sunmaktadır.

საყოფაცხოვრებო ტექნიკის მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ბრენდი "ბეკო„ რომელიც უკვე 22 წელია საქართველოს ბაზარზე ოპერირებს, საქართველოს მასშტაბით 67 სავაჭრო წერტილს აერთიანებს. ისევე როგორც განვლილი 21 წელი, ბეკო მიმდინარე წელსაც აგრძელებს სიახლეების შეთავაზებას და სტაბილურად აფართოებს სავაჭრო ქსელს.

ამჟამად ახალი, საქართველოში ყველაზე დიდი ფილიალი ქალაქ ბათუმში, მელიქიშვილის 69/71-ში 19 ოქტომბერს საზეიმოდ გაიხსნა, მაღაზია მოწყობილია ინოვაციური კონცეფციის მიხედვით. ბათუმში „ბეკო“-ს ახალი ახალი ფილიალის გახსნასთან დაკავშირებით, მხოლოდ აღნიშნულ ფილიალში ბეკომ მომხმარებლებს 30% მდე ფასდაკლება და

სპეციალურ შეთავაზებები დაახვედრა, როგორც საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, ასევე ტელევიზორებზე და აიტი ტექნიკაზე, მაღაზიაში მოსულ მომხმარებელს სხვა უამრავი სიახლე და სიურპრიზიც დახვდათ.

გახსნის ოფიციალურ ცერემონიას კომპანია "ბეკოს" გენერალური დირექტორი მეჰმეთ მელექი უძღვებოდა. გახსნას ესწრებოდნენ როგორც საჯარო პირები ასევე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, სტუმრებიდან თურქეთის გენერალურმა კონსულმა საქართველოში მაქბულე ქოჩაქმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოში "ბეკოს" მაღაზიები თითქმის ყველგან არის გახსნილი და ეს ბრენდი დღეს არა მარტო თურქული, არამედ ქართულიცაა. ბათუმში მელიქიშვილის 69/71 ზე განთავსებულ "ბეკოს" 1100 კვმ ფართობის მქონე მაღაზიაში ყველა სახის საყოფაცხოვრებო და საოჯახო ტექნიკაა განთავსებული, აღნიშნული ფილიალის გახსნით 22 ადგილობრივი დასაქმდა. აქვე მდებარეობს ბეკოს საქართველოში რიგით 7 მომსახურების სერვის ცენტრიც. აღსანიშნავია ისიც რომ კომპანია მყიდველებს 4 წლიან სრულ გარანტიას და ასევე დამატებით 4+3, 7 წლიან გარანტიას სთავაზობს.

2019 yılı Ocak – Eylül Döneminde Gürcistan’ın Dış Ticareti
საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2019 წ. იანვარი - სექტემბერში

2019 yılı Ocak – Eylül döneminde Gürcistan'ın dış ticaret cirosu 9 193.7 milyon ABD doları teşkil etmiştir. Bu rakam bir önceki yılın verilerine kıyasla % 0.5 ile daha fazla. İhracat 2 719.2 milyon ABD dolar (artış oranı %11.1), ithalat ise - 6 474.5 milyon ABD doları (düşüş oranı %3.3) olmuştur. 2019 yılın Ocak-Eylül döneminde negatif ticaret bilançosu 3 755.3 milyon dolara ulaşarak dış ticaret cirosunun % 40.8 teşkil etmiştir. Aynı zamanda, reeksport haricinde olan ihracat %1,6 oranla artıp 1 690.5 milyon dolara ulaşmıştır.

2019 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 193.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.5 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 2 719.2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (11.1 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 6 474.5 მლნ. აშშ დოლარს (3.3 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2019 წლის იანვარ-სექტემბერში, 3 755.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.8 პროცენტია. ამავე პერიოდში ექსპორტი რეექსპორტის გარეშე, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.6 პროცენტით გაიზარდა და 1 690.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2019 yılı Ocak – Eylül döneminde Gürcistan’ın Avrupa Birliği ülkeleri ile yapılan dış ticaret cirosu 2 287.6 milyon ABD dolarına ulaşmıştır. Bu rakam, bir önceki yılın verilerine kıyasla %4.6 ile azdır. İhracat 620.1 milyon ABD dolara ulaşarak (artış oranı %16.3), ülkenin toplam ihracatının %22.8-i oluşturmuştur. İthalat ise 1 667.5 milyon ABD dolar ile (düşüş oranı %10.6) ülkenin toplam ithalatının %25.8-i oluşturmuştur.

სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 287.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 4.6 პროცენტით ჩამორჩება. აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელდა 620.1 მლნ. აშშ დოლარის ექსპორტი, რაც 16.3 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 22.8 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობამ 1 667.5 მლნ. აშშ

დოლარს მიაღწია (10.6 პროცენტით ნაკლები) და მთლიანი იმპორტის 25.8 პროცენტი შეადგინა.



Gürcistan'ın BDT ülkeleri ile yapılan dış ticaret cirosu 3 135.6 milyon ABD dolarına ulaşmıştır. Bu rakam bir önceki yılın verilerine kıyasla %0.9 ile daha fazladır. İhracat 1 430.9 milyon ABD doları ile (artış oranı %23.2) ülkenin toplam ihracatının %52.6-yı oluşturmuştur. İthalat ise 1 704.7 milyon ABD doları ile (düşüş oranı %12.4) ülkenin toplam ithalatının %26.1-i oluşturmuştur.

სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან 3 135.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 0.9 პროცენტით მეტია. აღნიშნულ პერიოდში საქართველოდან დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებულია 1 430.9 მლნ. აშშ დოლარის საქონელი, რაც 23.2 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 52.6 პროცენტს შეადგენს. იმპორტის მოცულობა 1 704.7 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა (12.4 პროცენტით ნაკლები), რაც მთლიანი იმპორტის 26.1 პროცენტია.

2019 yılı Ocak-Eylül döneminde Gürcistan'ın en büyük ihracat yapan 10 ortak ülkenin payı, ülkenin toplam ihracatının %72,6'sını oluşturmuştur. Bu ülkeler aşağıdaki gibidir: Rusya (371.1 milyon), Azerbaycan (355.1 milyon), Ermenistan (261.3 milyon), Bulgaristan (203.2 milyon), Ukrayna (182.1 milyon), Türkiye (155 milyon), Romanya (150.1 milyon), Çin (125.1 milyon), ABD (97.8 milyon), Özbekistan (67.4 milyon).

2019 წლის იანვარ-სექტემბრში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 72.6 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო ათეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: რუსეთი (371.1 მლნ), აზერბაიჯანი (355.1 მლნ.), სომხეთი (261.3 მლნ.), ბულგარეთი (203.2 მლნ), უკრაინა (182.1 მლნ), თურქეთი (155 მლნ), რუმინეთი (150.1 მლნ), ჩინეთი (125.1 მლნ), აშშ (97.8 მლნ), უზბეკეთი (67.4 მლნ).

Ocak-Eylül 2019'da buraya en büyük ithalat yapan on ortak ülkenin payı, Gürcistan'ın toplam ithalatının %65.9'unu oluşturmuştur. Bu ülkeler aşağıdaki gibidir: Türkiye (1 138.8 milyon), Rusya (661.3 milyon), Çin (647.2 milyon), Azerbaycan (399.7 milyon), Almanya (318.9 milyon), ABD (295.7

milyon), Ukrayna (281 milyon), Ermenistan (202.8 milyon), İtalya (164.7 milyon), Romanya (153.2 milyon).

2019 წლის იანვარ-სექტემბერში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 65.9 პროცენტი შეადგინა. ათეულში შედიან: თურქეთი (1 138.8 მლნ), რუსეთი (661.3 მლნ), ჩინეთი (647.2 მლნ), აზერბაიჯანი (399.7 მლნ), გერმანია (318.9 მლნ), აშშ (295.7 მლნ), უკრაინა (281 მლნ), სომხეთი (202.8 მლნ), იტალია (164.7 მლნ),რუმინეთი (153.2 მლნ).

Gürcistan'a İlaç İthalat – İhracatı
საქართველოში მედიკამენტების იმპორტი და ექსპორტი

Gürcistan Milli İstatistik Kurumuna göre Gürcistan'a ithal edilen paketlenmiş ilaçların% 50'si yeniden ihraç edilmektedir. 2019 yılı Ocak – Eylül döneminde Gürcistan'a toplam 261 979 milyon ABD Doları tutarında ilaç ithal edilmiştir ve bundan 132.731 milyon dolar tutarındaki ilaçlar yeniden ihraç edilmiştir. 2019 yılı Ocak – Eylül döneminde Gürcistan'dan 141.927 milyon dolar tutarında ilaç ithal edilmiştir ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine göre %40 daha fazladır.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გავრცელებული მონაცემების მიხედვით საქართველოში იმპორტირებული დაფასოებული მედიკამენტების 50% რეექსპორტზე გადის. 2019 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში სულ 261 979 მლნ დოლარის პროდუქციის იმპორტი განხორციელდა, აქედან 132 731 მლნ დოლარის დაფასოებული მედიკამენტები კი რეექსპორტზე გავიდა. 2019 წლის იანვარ-სექტემბერში 141 927 მლნ დოლარის დაფასოებული მედიკამენტების ექსპორტი განხორციელდა, რაც 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 40%-ით მეტია.

İthalatçı ülkelerin listesi aşağıdaki gibidir:
Türkiye – 64.416 mln, Almanya – 22.912 mln, Macaristan – 22.261, Fransa – 18.864 mln, İsveçre – 14.201, Ukrayna – 13.844, Bulgaristan – 9.632, Hindistan – 9.030, Birleşik Krallık – 8.850 mln, Polonya – 7.967, Diğer Ülkeler – 69.998.

İhracat, aşağıdaki ülkelere yapılmıştır:
Özbekistan – 49.807, Azerbaycan – 21.826, Ukrayna – 15.002, Rusya – 14.226, Kırgızistan – 13.474, Türkmenistan – 5.866, Ermenistan – 5.052, Beyaz Rusya – 4.350, Kazakistan – 3.722, Tacikistan – 2.726, Diğer Ülkeler – 5.872.

Yeniden İhracat verilerine gelince:
Özbekistan – 48.79, Azerbaycan – 20.196, Ukrayna – 14.718, Rusya – 14.211, Kırgızistan – 13.260, Türkmenistan – 5.462, Beyaz Rusya – 4.250, Ermenistan – 4.191, Kazakistan – 3.203, Tacikistan – 1.419, Diğer ülkeler – 3.737.

იმპორტიორი ქვეყნების სია ასე გამოიყურება:
თურქეთი - 64.416 მლნ, გერმანია - 22.912 მლნ, უნგრეთი - 22.261 მლნ, საფრანგეთი - 18.864 მლნ, შვეიცარია - 14.201 მლნ, უკრაინა - 13.844 მლნ, ბულგარეთი - 9.632 მლნ, ინდოეთი - 9.030 მლნ, ბრიტანეთი - 8.850 მლნ, პოლონეთი - 7.967 მლნ, სხვა ქვეყნები - 69.998 მლნ.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

ექსპორტი შემდეგ ქვეყნებში განხორციელდა:
უზბეკეთი - 49.807 მლნ, აზერბაიჯანი21. 826 მლნ, უკრაინა - 15.002 მლნ, რუსეთი - 14.226 მლნ, ყირგიზეთი - 13.474 მლნ, თურქმენეთი - 5.866 მლნ, სომხეთი - 5.052 მლნ, ბელორუსი - 4.350 მლნ, ყაზახეთი - 3.722 მლნ, ტაჯიკეთი - 2.726 მლნ, სხვა ქვეყნები - 5.872 მლნ.

რეექსპორტი ქვეყნების მიხედვით:
უზბეკეთი - 48.79 მლნ, აზერბაიჯანი - 20.196 მლნ, უკრაინა - 14.718 მლნ, რუსეთი - 14.211 მლნ, ყირგიზეთი - 13.260 მლნ, თურქმენეთი - 5.462 მლნ, ბელორუსი - 4.250 მლნ, სომხეთი - 4.191 მლნ, ყაზახეთი - 3.203 მლნ, ტაჯიკეთი - 1.419 მლნ, სხვა ქვეყნები - 3.737 მლნ.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (25.10.2019)

USD/GEL – 2.9515 TRY/GEL – 0.5134 EUR/GEL – 3.2835 GBP/GEL – 3.8039

USD/GEL
23 – 30 Ekim 2019

USD/TRY
23 – 30 Ekim 2019

TRY/GEL
23 – 30 Ekim 2019

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
İş Başlama Kolaylığı ბიზნესის დაწყების სიმარტივე	№ 2
Kredi Alma Kolaylığı სესხის აღების სიმარტივე	№ 12
Küçük Yatırımcıların Koruması მცირე ინვესტორთა დაცულობა	№ 2
İnşaat İzinleri İle Mücadele სამშენებლო ნებართვის სიმარტივე	№ 27
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16